# სახალხო გაზეთი

№ 478 შაბათი, 17 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 478

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მაგათოვის ქუჩისას და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხვალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо . зети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

# მიიღება ხელის მოწერა 1912 წლის „სახალხო გაზეთზე"

კვირას, 18 დეკემბერს,

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულების გამო, მის სულის მოსახსენებლად, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც დ. ზ. სარაჯიშვილის მთავარი კანტორა აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ.

წირვა დაიწყება 10½ საათზე, პანაშვიდი—12 საათზე.

(2—1644—1)

დაუვიწყარ და ძვირფას

## ზაქარია პეტრეს ძე გრიქუროვის

გარდაცვალების წლის თავზე, კვირას, ქრისტიშობის 18-ს, ხოჯივანქის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და წირვის შემდეგ შუადღის 12-ზე პანაშვიდი, რასაც განსვენებულის ქვრივი სოფიო ივანეს ასული, შვილები და ელისაბედ ნადირაძნცები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელთ. (1—992—1)

ტელეფ. № 795 **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

კვირას, 18 დეკემბერს, 1911 წ.

★ მ. კარგარეთლის საბენეფისოდ ★

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ცნობილი პიესა სარდუსი: **მადამ სან-ჟენ**, კომ. 4 მოქ. თარგმანი კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ვიქტორელი, კარგარეთელი, პიერეტა, ქილარჯიშვილი, ჩურქმზიშვილი; ბ-ნნი: არაგელი, აბდუშელი, ბერიშვილი, გუნია, გვარამე, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, შათირიშვილი. და სხ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასები ჩვეულებრივია.

შემდეგი წარმოდგენა კასირშის ბენეფისისა. წარმოდგ. იქნება: „უცნობი ქალი".

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება: იულიოს კეისარი, ანტიგონე, რევიზიონი.

(2—989—1) რეჟის. კ. შათირიშვილი. ქართული დრამატ. საზ. ადმინისტრაცია.

### ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 18 დეკემბერს (დილით), 1911 წ. ი. გრიშაშვილის მიერ გამართული იქნება

სალიტერატურო **დილა** სამს განყოფილებად.

**I. ლექციები ქართულად:**

1) გიორგი გვაზავა წაიკითხავს ლექციას: ტოლსტოის „ცოცხალ გვამზე",

2) სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ლექციას: „როგორ შესდგა ქართველი ერი".

**II. ლექსები, მოთხრობები, კუპლეტები და სიმღერა:**

კოტე ყიფიანი: „ჩვენ ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა", ბ. ახოსპირელი „ნანი-ნანა", ქ-ნი ცქვიტი „მიქელ ანჯელო", თ-დი კოლა ერისთავი „განდეგილიდან", კონსტან ანდრონი „ესკიზი", სოფრ. მგალობლიშვილი „გლეხური სცენები", მ. ნემო (ქუთათური მსახიობი) „იმერულ-ებრაულური სცენები" ვაცა ამირეჯიბი „ღვინების კოცნა".

მ ე ს ა მ ე   გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა:

ალ. წუწუნავა „ტყემიც" ია ეკალამიძა, კ. მაყაშვილი „ამირანი", ა. ადამიძე „კინტოური სცენები", სგ. ყიფიანი „მთვრალი ინდაურები", ლხიკო ბარათაშვილი «იმ ღერებს რომანსებს, ი. გრიშაშვილი „ულ-ულ!" ი. საღირაშვილი—დაუკრავს თარზე ახალ ჰანგებს. ქუჩიშვილი წაიკითხავს «მეძავი». შ. საკვაროვი და ნ. გოცირიძე იმღერებენ ახალ კუპლეტებს „გაი-გუის" ხმაზე.

ადგილების ფასი 5 კ—დან 50 კ—მდე, დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე, ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ბ. ახოსპირელი. (4—1686—3)

### ავჭალის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 17 დეკემბერს,

კოტე ყიფიანისა და ნინო ივანიძის მონაწილეობით ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება გ. სუნდუკიანცის 3 მოქ. კომ.

## „პეპო"

რეჟისორი კ. ყიფიანი. მორიგი წევრი ჯაბაური.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ფასები 20—5 კ.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება „ქალაქში". (8—1832—3)

### ა ხ ა ლ ი  კ ლ უ ბ ი

შაბათს, 17 დეკემბერს, 1911 წ. ქართულ თეატრის სცენაზე

მეოთხე საოპერეტო წარმოდგენა

**ლ ა მ ე  ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა**

მუს. მელოდია 3 მოქ. ვ. პ. ვალენტინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კოლოტოვისა, მიხაილოვისა, ნეზნამოვისა და ტრესინსკაია; ბ-ნნი: ვილერიანოვი, ევგენიევ-მანინი, მირსკი, ნავტი, საბინი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდის; ფასები გალერეიაში 40—10 კ—მდე. ფასები პარტერში 1 მ. 50 კ. 30 კ—მდე. სტუმრები იხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტ. 25 კ. წარმოდგენის შემდეგ ლ ო ტ ო.

ანონსი: ხამშაბათს, 20 დეკემბერს, „ქიმიკოსნი", ფარსი 3 მოქ. ვ. ნ. ჩეპესოვის მონაწილეობით. მზადდება წარმოსადგენად „ვნებათა ტალღებში". (2—1608—2)

## —ახალი კლუბი—

ა ხ ა ლ  კ ლ უ ბ ი ს წევრთა 15 დეკემბრის, 1911 წ. საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 18 ამა დეკემბერს, დღის 12 საათზე.

**მამასახლისთა საბჭო** თვის მოვალეობად სთვლის კვლავ მოაგონოს, რომ უკანასკნელი ვადა ბილეთების გასაახლებლად 1912 წლისათვის დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერს. (1—1608—1)

**ოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ძლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

მიიღებს სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—57)

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

## ლექციები

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ **როდიჩევისა,**

ხამშაბათს, 20 დეკემბერს, პირველი ლექცია:

### „გლეხთა განთავისუფლება"

ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, უკანასკნელი ლექცია:

### „ა. ი. გერცენი და მისი ნაწარმოებნი"

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ✦ ბილეთები ყოველ დღე იყიდება არტისტიულ საზოგად. თეატრის კასაში: დილის 10—2 ს.-დე, საღამოს 5—9 ს.-დე. (4.985.2)

სეპირო პავილიონი

## სამხატვრო სახელოსნოსათვის.

სასურველია ქალაქის შუაგულში იყოს.

აცნობეთ შემდეგის მისამართით: სასახლის ქუჩა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, № 6. სასტუმრო „პელე როიალი", № 17. ოთახით

(5—1439—2) მხატვარი კ. ქავთარაძე.

ტფილისის მომხმარებელი საზოგადოების „**მომავალი**"-ს გამგეობა, ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ კვირას, 18 ამ თვეს, ნაშუადღევის სამ საათზე, ზუბალაშვილის სასწავლებელში, სახალხო სახლში, დანიშნულია საზოგადოების

## საზოგადო კრება.

დღის წესრიგში შედის შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება და ანგარიშების განხილვა, 2) წარმოების ფორმების შემუშავება, 3) დაწყება წარმოებისა და 4) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის. გამგეობა წინადადებას აძლევს წევრებს ვისაც არ შეუტანია პაი აქვე შეიტანონ, ხოლო არა წევრთ შეუძლიანთ ჩაეწერონ წევრად და კრებაზედ ისარგებლონ გადამწყვეტი ხმით.

(2—976—2) გ ა მ გ ე ბ ა.

სამეცნიერო, საპედაგოგიო და სალიტერატურო ჟურნალი

## „განათლება"

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება" გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული. ამ ჟამად „განათლება" ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას. იანვრის ნომერში დაიბეჭდება, სხვათა შორის, ირ. ევდოშვილის ახალი პოემა „ქ ა ლ თ  ე თ ე რ ი". ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება" შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს ს ა მ  მ ა ნ ე თ ა დ  და  ა თ  შ ა უ რ ა დ (3 მან 50 კ.), ნახევარი წლით ორ მან. მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სოფლის სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ ო რ  მ ა ნ ე თ ა დ  და  ა თ  შ ა უ რ ა დ. საზღვარ-გარედ ჟურნალი ეღირება 5 მან. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივ. ავალიშვილთან და „ნაკადულის" რედაქციაში. ქუთაისში წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი" ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია «განთიადი», ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც. 1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Боцвадзе.

(8—1442—2) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—197)

მიხეილის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ქუთაისის ბანკის

## ტფილისის განყოფილება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ გაიცემა იჯარით ბანკზე დარჩენილი ქვემორე დასახელებული მამულები:

1) მჭედლიშვილისეული, თელავის ქ. . . . . . № 17
2) ბაიანდუროვისეული—თელავის ქ. . . . . . № 12
3) მელვინოვისეული—ელისაბედის ქ. . . . . . № 99
4) ნუროვისეული—ელისაბედის ქ. . . . . . № 117
5) ციციკოვისეული—ელისაბედის ქ. . . . . . № 79
6) ძაძაევისეული—ელისაბედის ქ. . . . . . № 165
7) ხალიბაინისეული—ქარუსელის დაღმართზე . . № 35
8) ურმუზოვისეული—კირპიჩნის ქ. . . . . . № 19
9) აპიანცისეული—დიდ და პატარა ვანქის ქუჩა . № 15.

იჯარის პირობებისა და სხვა ცნობების დაწვრილებით გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ ამ ბანკის **განყოფილების კანტორაში** ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმე დღის გარდა. კანტორა იმყოფება სოლოლაკის ქ., № 6.

(3—1443—2)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## ჯეჯილი

ოცდა მესამე წელიწადი.

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის**

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარედ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიჰმართონ ქუთაისში—ის. კვიცარიძეს; თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; სიღნაღში—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას; სამტრედიაში—პელ. რამიშვილს; ქ. გორში—თამ. თარხნიშვილს; ბათუმში—მიხ. კალანდაძეს. წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად ორი წიგნი: „ლომ-კაცი" ზღაპარი გ. წერეთლისა, სურათებით და „ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები" ალ. ჭიჭინაძისა, სურათებით.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили".

(3—1440—3) რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

## „ძმ. სეილანოვების"-ს

ახლად გახსნილ საქარხნო მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტი, სახ. ზუბალაშვილისა, № 8

განსაკუთრებით ვურჩევთ მოიკითხოთ

## თუთუნი „ემვიპტისა",

✦ შეუდარებელი შერჩეული ხარისხისა ✦

გირვანქა—2 მ 40 კ.-დან—10 მანეთამდე.

თუთუნი, სიგარები და პაპიროსები, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფირმებისა 10% დაკლებით.

ათასგვარი ხელსაწყო თუთუნის წევისა. (100.1622.8)

იატაკის საუკეთესო დასაგები

# ლიბავის ლინოლეუმი

პრობკის მანუფაქტურის სააქციონერო ამხანაგობა

## ვიკანდერის და ლარსონისა

## ტფილისის განყოფილება და საწყობი.

გოლოვინის პროსპექტი, № 9. სასტუმრო ორიანტის ქვეშ. ტელეფონი № 490. (7.1535 6)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულებების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა მკურნალურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—68)

**ექიმი** ქ ა ლ ი ს ა ნ ი ნ ო  რ ი ხ ი ლ ა ძ ე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი** ს. ნ. მაზაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღებს დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვებ.). მიხეილის პროსპექ. N 26. ტელეფონი 383. 25—1442—96

# ტფილისის კერძო სამკურნალო

ზაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოხიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი გერბეცკაია-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დადიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავშ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორბელიანი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოჯაევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სხ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედარებით. საფასურით (წ.—1082 633)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოხიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახმეტელი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყიფიანი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მიხნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალანდარიშვილი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლეინიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიგელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ზუდინოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვახვახიშვილი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქარიძე—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ......

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—32)

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

გ. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—237)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.900.37)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ზუბალაშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი მ. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (ი—54)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს ექიმი გ. ლოლობერიძე ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაცგიდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—22)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—22)

ექიმი ნ. ტ. მულიენი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—49)

ექიმი მ. ს. კობერიძე ქ. გორში იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—12 საათამდე და საღამოთი—5—7 ს-მდე. სემინარიის ქუჩაზე, სახლი № 1, ხანგურიძისა. (25—968—10)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

ექიმი მ. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზულ პროფ. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1387. (100—1117—63)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოფრიანოვის ქ., N 20. (წ.—1249—79)


# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემია" აღშფოთებულია სპარსელ ფიდაების მიერ რუსებ რაზმზე თავდასხმით და მთავრობას მოუწოდებს, ულმობელი და სასტიკი ზომები მიიღოს სპარსეთის მაწანწალა ყაჩაღების მიმართ, რომელთაც, გაზეთის აზრით, ხელში ჩაუგდიათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

სიტყვით ჩვენ სრულიად დაგვაკმაყოფილეს, საქმით კი რუს-სალდათების სისხლი დაჰღვარეს.

სწერს გაზეთი, რომლის აზრით თეირანის მთავრობა მხოლოდ ფიქციაა და საზოგადოდ სპარსეთში არავითარი მართველობა არ არსებობს, გარდა ყაჩაღთა ბრბოებისა, რომლებიც თავის ნებაზე განაგებენ მთელ მხარეს.

გაზეთი ქებით იხსენიებს მთავრობის უკანასკნელ განკარგულებას, რომლითაც კავკასიის ნამესტნიკს ეცნობა, სპარსეთში დამატებითი ჯარი გაგზავნეთ და მეამბოხეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღეთო.

რუსის სისხლი იღვრება. იგი მეტად ძვირფასია; ყაჩაღებს უფლება არა აქვთ იგი დაუსჯელად დაჰღვარონ. მთავრობა გვპირდება, სასტიკ ზომებს მივიღებთო. ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ შეუბრალებლად დასაჯონ: ყოველი შეიარაღებული ყაჩაღი დაუყონებლივ უნდა დაიხვრიტოს.

„ნოვოე ვრემიას" აზრით, ნამდვილი ჰუმანობა (?) ამ შემთხვევაში სისასტიკეს მოითხოვს. იგი თავრიზის მცხოვრებელთა წინააღმდეგაც ილაშქრებს და მათ დასჯას მოითხოვს, რადგან, გაზეთის აზრით, თავრიზელები ყაჩაღებს ხელს აფარებენ. თავრიზს ხარკი უნდა დავადოთ მოკლულ რუს ოფიცერთა ოჯახების სასარგებლოდ, რომ ამით ჭკუა ისწავლონო.

„რუსეთს არ შეუძლიან აიტანოს თავის საზღვარზე თავ-აშვებული ანარქია. ამისათვის რუსის ჯარი სპარსეთში შედის უმეტესად არა დასჯისათვის, არამედ შემოქმედებით მიზნითო.

დაასკვნის გაზეთი.

* * *

გაზ. „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტში" ნ. დურნოვო პროტესტს აცხადებს სინოდის მიერ საქართველოს ეპარქიაში საარჩევნო უფლების გაუქმების გამო და ამტკიცებს, ყველაფერი ეს „ქართული ღვთის მსახურების ენის მოსასპობად არის მოწყობილიო". ეხლა საქართველოს ეგზარხოსს ნება ეძლევა ქართველთა ეკლესიაში სხვა ეროვნების მღვდლები დანიშნოს. ნ. დურნოვო ბოლოს ამბობს:

„სანუგეშო რა უნდა უთხრათ ქრისტეს რჯულისათვის ტანჯულ და ევემულ უძველეს, მოციქულიო კრებების დროიდანვე ავტოკეფალიურ ივერიის ეკლესიას, როცა რუსეთის სასულიერო კოლეგიუმიართმევს მას მოციქულთაგან მინიჭებულ უფლებას სამღვდელო პირთა ამორჩევისას?

ერთს კი ვიტყვით და ვურჩევთ: უცადოს უკეთესს დროს და იმედი ჰქონდეს იმისა, რაც მთელი საუკუნოებით იცავდა რუსეთში ყველაზე უძველეს ხალხს ქართველობას და აძლევდა საშუალებას თავის არსებობა შეენარჩუნებინა. ქართველებმა უნდა დაიხსომონ, რომ ისინი სულიერად ღვიძლნი ძმანი არიან კეთილისა და მისი ტანჯვის თანამოზიარე რუსეთის ხალხისა"...

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა მინისტრთა საბჭოს სტატს-სეკრეტარ კოკოვცევს დეპეშით აცნობა, ტფილისის უნივერსიტეტის საქმე მოსაგვარებელია, რადგან ქალაქების მიერ გადადებული საკმაო თანხა შეგროვდა ერთი ფაკულტეტის დასაარსებლადაო.

✦ **ახალი რკინის გზა.** რუხლოვს კოკოვცევისთვის წარუდგენია პროექტი ახალი რკინის გზისა. პროექტით, რკინის გზა ბაქოდან ჯულფით თავრიზამდე მივა. გზა არაქსის მარცხენა სანაპიროზე გაივლის, მუღანის მინდორს გადასჭრის და ჯულფაში ჩავა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო, რომ ბაქოს ნავთის მრეწველთა კრებას 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ტფილისის უნივერსიტეტის ასაგებად 17 ათასი მანეთი შეუტანიაჲ. ხოლო ყოველ წლიურ დახმარებისათვის—400 ათას მანეთის გადადების საკითხს ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭო მახლობელ კრებაზე განიხილავს.

✦ **თ. ი. როდიჩევი.** როგორც უკვე ვწერდით, კადეტთა ცნობილი დეპუტატი როდიჩევი ლექციას წაიკითხავს საარტისტო საზოგადოების დარბაზში 20 და 22 დეკემბერს. როდიჩევი უკვე წამოსულა პეტერბურგიდან. მოგვყავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: როდიჩევი დაიბადა 1856 წელს. პეტერბურგის უნივერსიტეტი გაათავა 1876 წელს; 1877 წელს თავად-აზნაურობის წინამძღოლად იყო, 1878 წელს—მომრიგებელ მოსამართლედ, 1897—ტვერის საერობო თვით-მმართველობის გამგეობის თავმჯდომარედ, 1898 წლიდან კი ნაფიცი ვექილია. როდიჩევი რამდენჯერმე ყოფილა გადასახლებული ადმინისტრატიულის წესით. 1905 წელს მონაწილეობას იღებდა იმ დეპუტაციაში, რომელიც 6 ივნისს ხელმწიფეს წარუდგა. ჯერ ისევ ნოემბრის კრებამდე, როდიჩევს სამი საკონსტიტუციო მოწოდება აქვს: 1878, 1881 და 1884 წლებში.

როდიჩევი დეპუტატად იყო სამივე სათათბიროში. იგი თვალსაჩინო წევრია კადეტთა პარტიისა, და ამიტომ მისი ლექციებიც საინტერესო უნდა იყოს ჩვენის საზოგადოებისთვის.

✦ გუშინ-წინ გუბერნატორის ეტლს ტრამვაის **ვაგონი დაეჯახა.** ვაგონმა ეტლს ლატანი დაუმტვრია და ცხენები წააქცია. თვით გუბერნატორი უვნებლად გადარჩა.

✦ **ზაქ. მაჭინაძეს,** რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად დააპატიმრეს, გამოუშვებენ, თუ თავდებად დაუდგა ვინმე ასი თუმნის ქონებით, ან ორმოცდა-ათ თუმან ნაღდი ფულით.

✦ ვაკეს **მცხოვრებნი უჩივიან ქალაქის გამგეობას,** რომ აქამდის ვაკეს ქუჩებში ქვა-ფენილი არ გაუკეთებიათ. ქალაქის გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ვაკეს მცხოვრებლებმა არ გადაიხადეს ის თხუთმეტი ათასი მანეთი, რომელიც ამ საქმისთვის უნდა გადაეხადათო. თუ ხელ-წერილს მოგვცემენ, რომ შემდეგში მაინც გადაიხდიან ამ ფულს, ქვაფენილის დაგებას ეხლავე შეუდგებითო.

✦ **ქართული საბავშვო კითხვები.** კვირას, 18 დეკემბერს, **ავჭალის აუდიტორიაში** ქ-ნი **ნასიძისა** წაიკითხავს ქართულად: „დანგრეული ბუდე". სამკურნალო საზოგადოების დარბაზში—ქ-ნი კარბელაშვილი—„ჩემო შვინდავ".

**ნავთლუღში**—ქურული—„ლომები". **ხარფუხში** წაიკითხავენ „ქაჯანა".

✦ **თუმანიშვილ-ამილახვარის დავა.** 15 დეკემბერს კავკასიის წყალთა ოლქის სამმართველომ ტფილისიდან გორს გაჰგზავნა ინჟენერ—ჰიდრავლიკებისგან შემდგარი კომისია, რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა ახალდაბა-თელო წმინდაოთარშვილის რუ (ფშანი) ეს რამდენიმე ხანია ხსენებული თავადები ამ რუზე დავობენ. კომისია 15 დეკემბერსვე ტფილისშივე დაბრუნდა. ამ საკითხს უფრო ვრცლად შემდეგ შევეხებით.

✦ **ტფ. გუბერნიის საგუბერნიო სასმზრუნველო კომიტეტის დირექტორად** დაინიშნა კავკასიის საფეიქრო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობის გამგე გ. ს. სარქისოვი.

✦ **ექსკურსია.** ტფ. უმაღლეს საქალებო კურსების მსმენელ ქალთა ექსკურსია მიემგზავრება მოსკოვს 19 დეკემბერს და არა 16-ს როგორც გუშინ ვწერდით.

✦ ხვალ, 18 დეკემბერს დილით, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ი. გრიშაშვილის მიერ გამართული იქნება **სალიტერატურო-სამუსიკო დილა.** გიორგი გვაზავა წაიკითხავს ლექციას ლ. ტოლსტოის „ცოცხალ გვამზე", სარგის კაკაბაძე—წაიკითხავს „როგორ შესდგა ქართველი ერი", კოტე ყიფიანი—„დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა" (ამდროინდულად), ბ. ახოსპირელი—ნანინანა, ქ-ნი ცქვიტი—მაქელ-ანჯელო, თ-დი კოლა ერისთავი—განდეგილიდან, კოსტან-ანდრონიკაშვილი—ესკიზი, ოსიკო ბარათაშვილი—იმღერებს ქართულ რომანსებს, გ. ქუჩიშვილი—„მეძავი", სოფ. მგალობლიშვილი—გლეხური სცენები, მ. ნემო (ქუთათური მსახიობი)—იმერულ-ებრაული სცენები, ალ. წუწუნავა—„ნაწყვეტი ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან, ცაცა ამირეჯიბი—„ოცნების კოცნა", კ. მაყაშვილი—ამირანი, ანდრ. ადამიძე—კინტოური სცენები, სვ. ყიფიანი—მთვრალი ინდაურები, ი. სალირაშვილი დაუკრავს თართზე სრულიად ახალ ჰანგებს, ი. გრიშაშვილი—ოლ-ოლ! შ. საფაროვი და ნ. გოცირიძე იმღერებენ ახალ კუპლეტებს „ვაი-ვუის" ხმაზე დღევანდელ ქირ-ვარამზე, აკომპანიმენტს დაუკრავს ქეთო მგალობლიშვილი. ადგილების ფასი 5 კაპ. 50 კ-მდე, დასაწყისი ნაშუადღევის პირველ საათზე.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს რვა საათზე, საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში (მოსკოვის ქუჩა, № 3), დანიშნულია კრება მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა, რომელზედაც მ. გ. ჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ისტორიული წარწერანი ერთი წმინდის ხელთნაწერ თთვენისა".

✦ **ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მორიგ კრებაზე** 15 დეკემბერს დაადგინა გაზაფხულზე 1912 წელს ქალ. თელავში **მოიწვიოს კრება** იმ პირთა, ვისაც უმუშავნია და გამოცდილება აქვს **ამერიკულ ვაზის გაშენებაში** კახეთში. ამ კრების დანიშნულებაა გამოარკვიოს, რა ჯიშის ვაზი უფრო სასარგებლოა გაშენდეს, რომ ნაკლები ზიანი მოუტანოს მევენახეთ ფილოქსერამ. დაწვრილებითი ცნობები ამ კრების შესახებ გამოქვეყნებულ იქმნება თავის დროზე.

ამის გარდა საბჭომ დაადგინა მომავალ იანვრიდან მოიწვიოს ინსტრუქტორი კოოპერატიულ დაწესებულებებისა.

✦ **სამღვდელოების კრება.** დღეს სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში დაიწყება ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრება.

## სასამართლო.

✦ **შანსონეტკის მოკვლის განზრახვა.** მიმდინარე 15 აგვისტოს ოლქის სასამართლომ აკოფ დალმაზოვის საქმე გაარჩია. ბრალდებოდა შანსონეტკის ლიუბოვ ზვიაგინის მოკვლის განზრახვა. 15 აგვისტოს გათენებისას, გორგიჯანოვის სასტუმრო „პროგრესში" მივიდა აკოფ დალმაზოვი და შანსონეტკის ზვიაგინის ნომერი დააკაკუნა. როდესაც ქალმა გაიგო, რომ კარებს დალმაზოვი არაკუნებდა, კარი გაუღო, რადგანაც ქალი დალმაზოვთან იმ ღამეს ვახშმობდა გორგიჯანოვის ბაღში და ამიტომ იცნობდა. მთვრალმა დალმაზოვმა ქალს სთხოვა, ვერაზე წავიდეთ საქეიფოდაო, მაგრამ ქალმა უარი უთხრა. როდესაც ქალმა კიდევ რამდენჯერმე გადაჭრით უარი გაუმეორა, დალმაზოვმა სთქვა: მაშ სიცოცხლე აღარა ღირს, რადგანაც ჩემთან ღვინის დალევა არა გსურსო. ამ სიტყვებ ან ერთად ამოიღო რევოლვერი და ქალს ორჯერ ესროლა. ორივე ტყვია ქალს ასცდა. ოლქის სასამართლომ მიიღო მხედველობაში, რომ დალმაზოვი უგონოდ მთვრალი იყო და სრულიად გაამართლა.

## სომეხთა ცხოვრება

✦ მანთაშევის სავაჭრო სკოლის შენობა დაამთავრეს, ვაჭართა უსტაბაში არ. მილოვი 18 დეკემბერს ამ შენობას სკოლის სამზრუნველო საბჭოს ჩააბარებს.

## ქუთაისი

✦ **ქუთაისის ქალაქის გამგეობის** მიერ წარდგენილი ხელშეკრულება ინჟინ. დადიანთან და კანცელთან წყალსადენის გაყვანის თაობაზე კავკასიაში, ხელმწიფის მოადგილემ დაუბრუნა ქუთაისის გუბერნატორს გამგეობისათვის გადასაცემად, ხელშეკრულებას შესწორება სჭირსო.

✦ შორაპნის მაზრის სოფ. საკურწეში **ციმბირის ჭირი** მძვინვარებს, თურმე, საქონელს მუსრს ავლებს. რამდენიმე ადამიანიც იმსხვერპლა.

✦ ეს რამდენიმე დღეა ქუთაისში თფილი წვიმა დღეებია.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა **სამხედრო სასამართლო,** რომელიც გაარჩევს რამდენიმე საქმეს.

✦ ორშაბათს ზუგდიდიდან ჩამოიყვანეს დაჭრილი **ვ. ელიშბაია,** რომელსაც სამი მსუბუქი ჭრილობა აქვს.

✦ შავიქვის **მრეწველთა კრებაზე** კავკასიის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველმა ბ. რუდოლფმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა, თუ როგორი ტიპის სკოლაა საჭირო ქუთაისში, უნდა გაიხსნას საშუალო 8 კლასიანი სამრეწველო სასწავლებელი სპეციალურის განყოფილებითაო.

✦ **სამშაბათს** ბალახვანის ქუჩიდან გამოვარდა **გაგიჟებული ხარი** და დაეშვა პუშკინის ქუჩით; პირველად დაეჯახა პოლიციელს, რომელიც იქვე წააქცია, შემდეგ გაქანებული ეცა მოხუც კუხალეიშვილს, გადაატრიალა და ნეკნები დაუზიანა; იქიდან გაექანა ორ-პირის ქუჩაზე და გზაში სამი მოწაფე ძლიერ დააშავა. არავინ გაჩნდა, გამხეცებული ცხოველი შეეჩერებინა. („კოლხიდა").

## პროვინცია

✦ **ყაჩაღმა ფციქრიშვილმა** სოფ. მარტყოფში გაძარცვა ადგილობრივი მღვდელი თუშმალოვი და ებრაელები ილო და ლუკა.

✦ სოფ. საყულიაში (ქვემო იმერეთი). ორშაბათს, 12 ამ თვეს, ღამის თორმეტ საათზე, ამ სოფლის მცხოვრებს აზნაურ თაყა გერსამიას, ამავე სოფლის მცხოვრებმა ალექსანდრე თევზაძემ დაუწვა თივის ზვინები. ზარალი 500 მანეთამდეა. დამნაშავე გამოტყდა.

✦ სოფ. ალი (გორის მაზრა). ალის მცხოვრებლებმა წ. კ. გ. საზოგადოების წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა სოფ. ალში სკოლა გახსნან.

✦ **თავ. ფალავანდიშვილთა** ტყის მცველმა ბაბაევმა ბერდანის თოფით მოჰკლა ჯადა ჯიოშვილი და მიიმალა.

# ზელიმ-ხანის გამცემა

8 დეკემბერს, ღამე სოფელ კამაჩოიში დაბანაკებულ ყუბანის პლასტუნთა მეხუთე ბატალიონისათვის მწყემს—ჩაჩანს შეუტყობინებია, რომ სოფლის ახლოს, მთის გამოქვაბულში, ზელიმ-ხანი იმალებაო.

ეს ამბავი მსწრაფლ უცნობებიათ ვედენის ოლქის უფროსის პოლკოვნიკ ყარალაშვილისათვის და ღამის ორ საათზე ვედენიდან კარაჩოიში სიჩქარით გამგზავრებულა პლასტუნთა ასეული ტყვიისმფრქვეველებით. მათ გარდა კარაჩოიში მისულა დაღესტნის ცხენოსან ჯართა ასეული და თვით ოლქის უფროსი თერგის სათადარიგო რაზმით.

გამოქვაბულს მიაგნეს და ასტყდა სროლა, რომელმაც დილიდან შუადღემდე გასტანა.

გადასწყვიტეს, არტილერიის ცეცხლით ემოქმედათ და 9 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ვედენიდან დაღესტნის პოლკის მე-5-ე როტა გაემგზავრა სამთო ზარბაზნით. დიდის წვალებით აიტანეს ზარბაზანი მახლობელ გორაკზე, მაგრამ სროლა ვერ მოახერხეს და ზარბაზანი უკანვე დააბრუნეს. ხოლო როტა კი სროლის ადგილს გაეშურა.

სოფლის ახლოს მოსჩანს მთაგრეხილი, რომელიც ყოველ მხრივ ხეობებითაა შემორტყმული. მთაგრეხილის მწვერვალზეა გამოქვაბული, ფრიალო გადმოსახედი აქვს. სწორედ ამ გამოქვაბულში შეუხიზნია თავი ზელიმ-ხანს. გამოქვაბულთან მისვლა შეიძლება მხოლოდ პატარა ბუჩქთა შემწეობით. გამოქვაბულის სარკმლის გასწრივ მთის ფერდობზე იმყოფება მეოთხე სადარაჯო, საიდანაც ზელიმხანს ესროდნენ. ყველა დაჭრილი და მოკლული სწორედ ამ სადარაჯოსთან იქმნენ აღმოჩენილნი. საკმაო იყო თავი გამოეყო ვისმე, რომ გამოქვაბულიდან სროლით ეპასუხნათ.

მეხუთე სადარაჯო გამოქვაბულიდან მოშორებით იმყოფებოდა და მის მიზანს ზელიმხანისთვის გაქცევის საშუალების მოსპობა შეადგენდა.

სადარაჯოები ისე იყო განწესებული: ზევით მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკი მისდევდა და მასზე გამოქვაბულიდან 15 საჟენის სიმაღლეზე იდგა ერთი დარაჯი და, რადგანაც ყოველ მხრივ მხოლოდ დაქანებული კლდეებია ზელიმ-ხანს გაქცევა ამ გზით ვერ შეეძლო. გამოქვაბულის მარჯვნივ 15 საჟენის მანძილზე მეორე სადარაჯო იყო,

ხოლო მის დაახლოვებით, ხეობის ძირში—მესამე სადარაჯო.

ჯარმა სროლა აუტეხა ზელიმ-ხანს. მალე მეოთხე სადარაჯოში ორი დაიჭრა, აღმოჩნდნენ ისეთნი გულადნი, რომელნიც ხევში ჩაეშვენ და გამოქვაბულისაკენ გასწიეს, მაგრამ ერთი სროლით ორი იქმნა მოკლული: ტყვიამ პლასტუნს მუხლი გაუხვრიტა და მის უკან მიმავალ ჩაჩანს ყბა.

ზელიმ-ხანი გამოქვაბულიდან დრო გამოშვებით ესროდა მეოთხე სადარაჯოს; მას მეორე და მეოთხე სადარაჯოებიდან უპასუხებდნენ. სროლამ 9 დეკემბერს მთელი დღე გასტანა. დილის ექვსის ნახევარზე გამოქვაბულიდან უკანასკნელი სროლა გაისმა.

10 დეკემბერს დილის 8 საათზე გამოქვაბულში გაგზავნეს მოსალაპარაკებლად ჩაჩანი, რომელმაც უკან დაბრუნებისას განაცხადა, რომ გამოქვაბულში არავინ არისო. მართლაც გამოქვაბული ცარიელი აღმოჩნდა.

ზელიმ-ხანის ასეთი სასწაულებრივი გასხლტომა ორნაირად შეიძლება აიხსნას: ან, დილით გათენებისას შეუმჩნევლად გაიპარა და ან ჩაჩნებმა, რომელნიც მოსალაპარაკებლად იყვნენ მასთან გაგზავნილი, დამალეს იგი. მოციქული და სამი ჩაჩანი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, შეიპყრეს და ვედენის საპატიმროში დაატუსაღეს.

ყველაზე უფრო ჭკუასთან ახლოს მეორე აზრია, ზელიმ-ხანი გათენებისას შეუმჩნევლად მიეფარა მთებს, ვინაიდან კვალი შეამჩნიეს-რომელიც ზევით მთისაკენ მისდევდა და რომელზედაც სისხლის კვალიც ამჩნევია; ჰფიქრობენ, ზელიმ-ხანი დაჭრილიაო.

გამოქვაბულში უპოვნიათ პატრონების გილზები, თუნუქის ყუთი ერბოთი, ჩაიდანი, ლუდის სამი ბოთლი, კოვზი, ხის ჯამი, ცოტა სიმინდის ფქვილი, საბანი და ნაჯახი.

სროლის დაწყებისას გამოქვაბულის დასათვალიერებლად გაგზავნილ იქნა ჩაჩანი, რომლის მეოხებით ზელიმ-ხანს თანხმობა განუცხადებია დამორჩილებაზე იმ პირობით, თუ მის ნათესავებს გაანთავისუფლებდნენ; ეს მისთვის აღუთქვამთ; როდესაც მის პირობის ასრულების თანხმობა გადაუციათ, ზელიმ-ხანს უთქვამს: „ის გამოცხადდეს ჩემთან, ვისაც მე ვესაპიროებიო“.

საპირები, რომელთაც გამოქვაბული უნდა აეფეთქებინათ, იმ დროს მოვიდნენ, როდესაც ზელიმ-ხანი უკვე უჩინარ-იქმნა. „(ტ“)

## ხმა სამტრედიიდან

კვირას, 11 დეკემბერს, ორ კლასიან სასწავლებლის სადგომში შესდგა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. კრების თავმჯდომარედ აფანასე რუხაძე აირჩიეს. კრება გაიხსნა შუადღის 12 საათზე. გამოცხადდა 73 წევრი—150 წევრიდან. საბჭოს თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ მოკლედ გაცნო დამსწრეთ ბანკის მნიშვნელობა ალებ-მიცემაში და კერძოდ სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოქმედება ჩვენს დაბაში. მისი სიტყვა მოკლე იყო, მაგრამ შინაარსიანი. მან აღნუსხა წინსვლა ბანკისა.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა გამგეობის თავმჯდომარემ ი. სტურუამ. მის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით სამტრედიის ბანკს აქვს ნდობა მხოლოდ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში 3000 მანათისა და მიწერ-მოწერაცა აქვს სხვა და სხვა ბანკებთანაც ნდობის მოსაპოვებლად.

სარევიზიო კომისიის მოხსენება წაიკითხა ექ. რ. ნანეიშვილმა, საიდანაც გამოირკვა: ხსენებულ ბანკში ყველაფერი წესრიგზეა. საბუღალტრო წიგნები სწორედ არის ნაწარმოები და დავთრებიც რევიზიის აზრით სწორეა. ბანკის დაარსებისას ითვლებოდა სულ 129 წევრი—11750 მ. თანხით. ამ ოთხი თვის განმავლობაში მიემატებია 16 წევრი 1500 მ. ბანკის ძირითადი თანხა ახლა 13250 მან. უდრის. მისივე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მოგება თვე და თვე მატულობს და საერთოდ ხსენებული ბანკის საქმეები წინ მიდის, მხოლოდ სადგომი ბანკისა უვარგისია და საზოგადო კრებას წინადადებას აძლევს, უკეთესი ბინა მოსძებნონ, ან და არსებული ბინა შეაკეთონ. ამასთანავე სარევიზიო კომისიამ მოითხოვა მუდმივი კასირის ყოლა ბანკში და არა დირექტორის მიერ ასრულება ხსენებულ მოვალეობისა, როგორც ეს ჯერ-ჯერობით ხდება.

კრება კმაყოფილი დარჩა ზემოხსენებულ მოხსენებით და შეუდგა დღიურ წესრიგის განხილვას.

წამოყენებული იყო საკითხი: წლიური ანგარიში ბანკისა როდის უნდა ხდებოდეს? კრებამ დაადგინა: რადგანაც ბანკმა მოქმედება 13 აგვისტოდან დაიწყო ამ წლის დამლევს წლიურ ანგარიშების გამოქვეყნება ზედმეტია, ანგარიში დაბოლოვდეს 1912 წლის გასულს.

შემდეგ შეუდგა კრება 1912 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ანგარიში დაყოფილია ამ ნაირად: შემოსავალი 8000 მ. (მოგება), გასავალი: ბინის ქირა 350 მ. განცხადებები 100 მ., საკანცელიარიო ხარჯები 20 მ., ფოსტა-ტელეგრაფის—150 მან., ჟურნალ-გაზეთები—30 მ., დირექტორს—1500 მ., ბუხჰალტერს—900 მ., მწერალს—420 მ., კასირს—900 მ., გირის მოწმობა 79 მ. 50 კ., მოულოდნელი ხარჯები—150 მ., გარდასახადები—100 მ., განათება და გათბობა—60 მ., მცველს—240 მან. და მეთვალყურეს—120 მ. სულ სავარაუდო გასავალი უდრის 5119 მან. 50 კაპ.

კრებამ ხარჯთ-აღრიცხვის ყველა მუხლები დაამტკიცა, მხოლოდ დირექტორის ჯამაგირი შეამცირა 1200 მანეთამდე.

დასასრულ, სარევიზიო კომისიის წინადადებით, საზოგადო კრებამ მადლობა გამოუცხადა ბ. ი. სტურუას ოთხი თვის უფასო შრომისათვის და საქმეების მოწესრიგებისათვის. „ზუკხი“.

## სასამართლო

**თავად დადიშქელიანის მოკვლის საქმე, რომელიც კავკავში ირჩევა.**

**პირველი დღე.**

დაბარებულ მოწმეთაგან მხოლოდ 97 კაცი გამოცხადდა. თავმჯდომარე ბრალდებულთ: — სცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ?

**ბრალდებული**—არა.

მოკლულის ძმა გ. ტ. დადიშქელიანი 10(?) მანეთს სჩივის. მისი საჩივრის დამცველად ნაფიცი ვექილის თანაშემწე შ. მესხიშვილი გამოდის.

ნამესტნიკის კანცელიარიისაგან მეგრულ და სვანურ ენების თარჯიმნებად ნიჟარაძე და გუზავა იქმნენ გაგზავნილნი.

ბრალდების წარმომადგენელი შესაძლებლად სცნობს საქმის დაწყებას, ხოლო დადიანის დამცველნი ნაფიცნი ვექილნი: ფადავა და მიქაძე საქმის გადადებას მოითხოვენ, ვინაიდან, როგორც დაცვის, ისე ბრალდების თვალსაჩინო მოწმები არ გამოცხადდნენო. მათ მხარს უჭერს ვექილი მესხიშვილი.

სასამართლომ მოკლე თათბირის შემდეგ საქმის განხილვა გადასწყვიტა.

პირველი მოწმე, კნეინა ერისთავისის ხელ-ჩაკიდებული მიდის თავად დადიშქელიანთან.

**თავმჯდომარე**: იცნობ თუ არა მკვლელს ცინცაძეს?

**კნ. ერისთავისა**: ვიცნობ.

**თავმჯდომარე**: როგორი განწყობილება ჰქონდათ ცოლ-ქმარ დადიშქელიანებს?

**კნ. ერისთავისა**. კარგად სცხოვრობდნენ, მაგრამ მათ მყუდროებას ხელს უშლიდა თავადი დადიანი.

— იყო თუ არა ამ უკანასკნელსა და კნეინას შორის დაახლოვებული დამოკიდებულება?

— დადიანი ხშირად იარებოდა კნეინა დადიშქელიანთან.

— მისცა თუ არა განსვენებულმა ცოლს წინადადება დადიანთან კავშირის შეწყვეტისა?

— მისცა. იგი სთხოვდა, ან აესრულებინა მისი თხოვნა, ან მისი ოჯახი დაეტოვებინა. როდესაც ეს დადიანმა შეიტყო, ჩემს ოჯახში სთქვა, პირადად გავუსწორდები დადიშქელიანსო.

მომჩივანის დამცველმა მესხიშვილმა განაცხადა: ერისთავისამ მეგრულად სთქვა: დადიანი ამბობდა: პირველსავე შეხვედრისას დადიშქელიანს ტყვიით შუბლს გავუხვრეტო, თარჯიმანმა ნიჟარაძემ კი ასე გადმოგვცა: მე მას პირადად გავუსწორდებიო.

სასამართლოს სხდომა დროებით შესწყდა და ნიჟარაძის მიერ სიტყვების გადამახინჯების გამო ახალი თარჯიმანი მიიწვიეს: ნაფიცი ვექილი ლორთქიფანიძე.

დაკითხვა გრძელდება:

— როგორ ექცეოდა განსვენებული თავ დადიანს?

— კარგად. საზოგადოებაში ლაპარაკობდნენ, მათ შორის კეთილი განწყობილება არისო.

— რა იცით ამ საქმის შესახებ?

— არაფერი.

— რამ გამოიწვია, განსვენებულის წინადადება დადიანთან კავშირის შეწყვეტის შესახებ?

— განსვენებული ვიღაც ლომიძემ გააფრთხილა, მოკვლას გიპირებენო. განსვენებულსა ჰსურდა, პირადად მოლაპარაკებოდა დადიანს, მაგრამ სხვებმა დაუშალეს. ჩემს ბინაზე კატო ერისთავისა ურჩევდა დადიანს, მალე მოეძებნა დადიშქელიანის მკვლელები.

**ბრალდებულის** ამხანაგი სთხოვს ერისთავისას, დაწვრილებით უამბოს კნეინა დადიშქელიანსა და დადიანს შორის არსებულ კავშირის შესახებ.

**ა. ერისთავისა**. ეჭვი მქონდა და დამტკიცება კი არ შემიძლიაო. განსვენებულმა ერთხელ ცოლს უთხრა: შვილებს ოზურგეთში წავიყვან, შენ აქ დარჩი და რაც გნებავდეს, ის ჩაიდინეო.

**ბრალდებული დადიანი** სთხოვს, ხმა მაღლა ილაპარაკოს.

**თავმჯდომარე**: თუ თქვენ მოწმის სიტყვები არ გესმით, ახლოს მოდით.

**დადიანი**. მე დავიღალე არამც-თუ ზეზე დგომით, არამედ ჯდომითაც.

**თავმჯდომარე**. წინადადებას აძლევს დადიანს, სიტყვას ნუ უბრუნებს.

**დადიანი** (მოწმეს). ვიხდიდი თუ არა დადიშქელიანის უფროს ქალიშვილის სწავლის ფულს?

**კნ. ერისთავისა**. თქვენ არ შეგეძლოთ გადახდა, რადგან თვითონ თქვენ ცუდ პირობებში იყავით

სხდომა ღამის პირველ საათზე შესწყდა.

## ბრძოლა სპარსეთში

**თავრიზის ბრძოლა.**

„ნიუ-იორკ ჰერალდის“ კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან; რუსები და ფიდაები იბრძოდნენ ხუთშაბათს მთელ დღეს, ღამე ფიდაებმა რუსებს გუბერნატორის სახლი წაართვეს, ორივე მხარე დიდად დაზარალდა. პარასკევს თავრიზში მოხდა ბრძოლა, რომელიც სწორედ ასწერა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ.

ამავე გაზეთის კორესპონდენტი რუსეთის თეირანში მყოფ რუსეთის ელჩს პოხიტონოვს ამტყუნებს, სპარსეთი და რუსეთი იმან გადაჰკიდაო. პოხიტონოვი შეუთანხმდა რუსეთის სხვა ელჩებს და თავრიზში განზრახ მოაწყო ბრძოლა, რათა სპარსეთში მყოფ ჯარის უფროსისათვის საშუალება მოეპო უკან დაბრუნებისა.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რუსეთს მართლა ჰსურს ჯარი უკან დაიბაროს, მაგრამ ეხლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სურვილის ასრულება შეუძლებელიაო.

რუსის მთავრობას განზრახვა აქვს თავრიზში იმდენი ჯარი იყოლიოს, რომ ყველარავინ გაუბედოს თავდასხმა. 9 დეკემბერს კავკასიის ნამესტნიკს დეპეშით აცნობეს, საჩქაროდ გაგზავნეთ რუსის ჯარის დასახმარებლად რაზმებიო. სამინისტროს აზრით: დამხმარე რაზმი სპარსეთს 11-12 დეკემბერს ჩავიდოდა.

გამოირკვა, რომ თავდასხმას, თურმე, დიდი ხანია ამზადებდნენ ფიდაები, და სხვა საპოლიტიკო ორგანიზაციები.

**გაზეთებიდან.**

**ფიდაებს ემუქრებიან.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს სპარსეთის განყოფილების გამგეს ი. ა. პერსიანის უთქვამს, რეშტსა და თავრიზში რუსებზე თავდასხმა სპარსეთის მთავრობის ბრალი არ არისო.

— ფიდაებმა და დანარჩენმა ყაჩაღებმა პასუხი უნდა გაგვცენ და დაგვაკმაყოფილონ მომხდარ სისხლის ღვრის გამო. ჩვენის მხრივ ვისმე დანდობისა და პატიების თაობაზე ლაპარაკიც კი მეტია. ყველა ეს რევოლუციის ნაძირალნი ძალიან კარგ გაკვეთილს მიიღებენ, ისეთ გაკვეთილს, რის წარმოდგენაც კი არ შეუძლიანთ და რაც დიდხანს ადარ დაავიწყდებათ, როდესაც დამნაშავეებს დავსჯით, მხოლოდ შემდეგ შეიძლება რამიე სამშვიდობო მოლაპარაკებაო.

**მეჯლისის დათხოვნა.**

მეჯლისის დათხოვნა რომ გამოაცხადეს, დეპუტატებმა სცადეს ბაზარში კრება გაემართათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. კრება გამართეს ერთ-ერთ მეჩითში, ძალიან ცხარე ხასიათი ჰქონდა და ცხარე სიტყვებიც წარმოსთქვეს.

რუსეთის ულტიმატუმის პასუხი სპარსეთმა ბომბეის ტელეგრაფით გაჰგზავნა. დეპეშა ორი ათას მანეთად დაუჯდათ.

## ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები.**

**ხარბინი.** სადგ. მანჯოუდან საზღვარზე მდგარ ჯარის ორი რაზმი ხუნხუზთა მდევრად გაიგზავნა.

**ჩიფუ.** ადგილობრივმა მთავრობამ წესიერება აღადგინა. უნებართვოდ იარაღის ტარება სასტიკად აკრძალულია.

**ხარბინი.** შანჰაიში მყოფი მანჯურთა დელეგატებს იმედი არა აქვთ, რომ სამშვიდობო კრებამ საქმე მოაგვაროს. დელეგატები მცხოვრებთ ურჩევენ, რევოლუციისთვის ემზადენითო.

**პეკინი.** 15 დეკემბრის ბრძანებას საჭიროდ მიაჩნია, რომ სახელმწიფო მმართველობის საკითხის გადასაწყვეტად ეროვნული კრება უნდა მოიწვიონ. იუანშიკაის უბრძანეს, საჩქაროდ შეუდგეს არჩევნებისათვის მზადებას და რესპუბლიკელებთანაც მოილაპარაკოს. ვადა დანიშნეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. რესპუბლიკელთა ჯარმა ქანინის ახლო ქალაქი ცზაიტანი დაიპყრო.

**ქუანჩენში.** ტოკიოს ჟურნალისტებმა, ლიტერატორებმა და ვექილებმა დაადგინეს, საჭირო არ არის ჩინეთზე ძალა ვიხმაროთ, ისეთი სახელმწიფო მართვა გამგეობა დავაწესოთ, როგორსაც თვითონ ჩინეთის ხალხი აირჩევსო.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, გაზეთების სიტყვით, პეკინის ოფიციოზები იუწყებიან, პეტერბურგში ჩინეთის ელჩს საზონოვმა უთხრა, მონგოლეთში რუსეთის ჯარს ჩვენ ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცავად ვგზავნით და არა მონგოლეთის დასაპყრობადაო. ეს ამბავი ტყუილია: გოფმეისტერ საზონოვს ჩინეთის ელჩთან არც კი ულაპარაკნია და არც რუსეთის ჯარი შესულა მონგოლეთში.

**(გაზეთებიდან).**

**რევოლუციონერების და მთავრობის მოლაპარაკება.**

რევოლუციონერებმა და მთავრობამ დროებით ხაზი ჩამოაგდეს და მოლაპარაკება გამართეს. საერო ერთობის პარტიამ მოწოდებით მიჰმართა იუანშიკაის და სთხოვა, მშვიდობიანად დაასრულოს მოლაპარაკება. რევოლუციონერები რესპუბლიკის დაარსებას მოითხოვენ. იუანშიკაის უარი შეუთვლია. თავის მხრით ლანგშოაიასაც გაუგზავნია მოხსენება იუანშიკაისთვის ტანგშოაიას რევოლუციონერებთან მოლაპარაკება აქვს დავალებული. იგი ატყობინებს იუანშიკაის, რომ დინასტიის გადარჩენა შეუძლებელია, რევოლუციონერები მტკიცედ ადგანან თავიანთ გადაწყვეტილებას და რესპუბლიკის გამოცხადებაზე უარს არ ამბობენო. ტანგშოია ატყობინებს აგრეთვე, რომ რევოლუციონერებს შეუძლიანთ ფული სულაც არ ისესხონ და ისე გააგრძელონ ბრძოლაო. იუანშიკაის ხელმწიფის ნათესავებთან უთათბირია და მთავრობის რწმუნებულისთვის მიუწერია: „ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ რევოლუციონერები დაიყაბულო და დინასტია განსაცდელიდან გადაარჩინოვო. მთავრობას აღარავითარი იმედი არა აქვს, რომ შეთანხმება მოხდება. ამიტომ მეფის გვარეულობის ძვირფას ქონების შეფასებას კვლავ შეუდგნენ. უნდათ ეს ქონება გაჰყიდონ და რევოლუციონერებთან საბრძოლველად გამოიყენონ.

**უნაყოფო მოლაპარაკება.**

მთავრობასა და რევოლუციონერებს შორის გამართულმა მოლაპარაკებამ, როგორც ეტყობა, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ჩინეთის მთავრობის რწმუნებულმა ტანშაოიმ სთხოვა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ელჩებს, ურჩიეთ იუანშიკაის, რომ რესპუბლიკის გამოცხადებაზე დასთანხმდეს, თორემ ომის გაგრძელება აუცილებელი იქნებაო. რადგანაც იუანშიკაიმ სამი დღის განმავლობაში გადაწყვეტელი პასუხი არ მისცა რევოლუციონერებს, ამ უკანასკნელთ აზრადა აქვთ ჩინეთის დედა-ქალაქ პეკინზე მიიტანონ იერიში.

ადმირალი სა, გემების უფროსი, რომელიც მთავრობისა და რევოლუციონერთა კაბინეტის წევრად ითვლება, კიაოჩაოში სდგას. რომელ მხარესაც გამარჯვება ერგება, ისიც იმას მიემხრობა.

ნანკინიდან შანჰაიში სამი ათასი რევოლუციონერი მივიდა. ისინიც რესპუბლიკის გამოცხადებასა თხოულობენ.

„ტაიმსს“ შანჰაიდან ატყობინებენ, თაიწში დასთანხმა ფედერალურ რესპუბლიკის გამოცხადებას, ვინაიდან წინააღმდეგია უბრალოდ სისხლის ღვრისაო. იუანშიკაი, როგორც ვიცით, წინააღმდეგია, მაგრამ აუცილებლობის წინაშე ქედს მოიხრის და შეიძლება პრეზიდენტადაც აირჩიონო. რევოლუციონერები იუანშიკაის პრეზიდენტობის წინააღმდეგნი არიან, თუმცა დარწმუნებულნი არიან, თუ იუანშიკაი პრეზიდენტად იქნება, მაშინ სახელმწიფოები უფრო ჩქარა აღიარებენ ჩინეთს რესპუბლიკადაო.

**რესპუბლიკის მოთხოვნა.**

შანჰაიდან ბრიუსელს ამბავი მისულა, დელეგატები თითქმის ერთხმად აპირებენ რესპუბლიკის მოთხოვნას.

სახელმწიფოები თიანძინში ჯარს აძლიერებენ. თაქუდან რევოლუციონერები კრეისერით გავიდნენ.

## იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

**რომი.** „კურიერე - დ'იტალიას“ ალექსანდრიიდან ატყობინებენ, „წითელ ნახევარ მთვარის“ კომიტეტმა ტყვიით სავსე ყუთი მიიღო. იქ, თურმე, დუმდუმის სისტემის ტყვია წყობილა, რასაც ვითომ იტალიელები ხმარობდნენ, კორესპონდენტი იუწყება, ტყვიებს იტალიის ბეჭედი არ აზის და ოსმალეთის ქარხნის დამღა ატყვიაო.

მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა ტრიპოლსა და სინსარს შუა საჩქაროდ რკინის გზა გაიყვანონ.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის კომისიაში ერენტალმა განაცხადა, ავსტრიის დიპლომატია ძალიან მოწადინებულია იტალია-ოსმალეთის ომს ბოლო მოუღოს, რადგან ომი ბალკანეთის მშვიდობიანობას საფრთხეს უმზადებსო.

**გაზეთებიდან.**

მალტიდან იუწყებიან, იტალიელების რიცხვი ეხლა ტრიპოლიში 50 ათასია, ხომსში—5 ათასი. გენერალი კანევა კიდევ 40 ათას კაცს მოითხოვს.

ოსმალეთის ჯარი ეხლა ბირტობრაზთან გროვდება. ამბობენ, ისინი შეეცდებიან იტალიელებს აინსარი წაართვანო.

## მოწოდება

მოახლოვდა შობა-ახალ წლის დღესასწაულები. მოირთო და მოიკაზმა საშობაო მორთულობისა და საჩუქრების ყველა დიდი საწყობი. მორთული და აჭრელებულია ყველა დიდი მაღაზიების ფანჯრები. მათ დიდრონ შუშებთან ხშირად იკრიბება ხალხი და სიამოვნებით ათვალიერებს გამოწყობილს საშობაო მორთულობა-საჩუქრებს. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, შეძლებულთათვის არის დამზადებული. დარიბნი და უმწეონი ვერცკი ბედავენ იმ მორთულ ფანჯრებთან მიახლოვებას: ისინი მხოლოდ შორიდან, თვალ-ცრემლიანები, ცოტა არ იყოს, შურით, შეჰყურებენ მორთულობას, და შიშველნი მარტოოდენ ფუჭის ოცნებით ერთობიან: „ნეტავი ჩვენც ცოტა რამე გვარგუნოს იმ დალოცვილმა უფალმაო“. აი, სწორედ ასეთი გულითადი ნატვრა ასეთ უმწეო ბავშვებისა დედობრივის გულით იგრძნო იმ ყოვლად პატიოსანმა პატარა წრემ, რომელსაც ეწოდება „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“. ამ ქალთა წრემ მოინდომა იმ დარიბ ბავშვებს ნატვრის ოცნება სინამდვილედ უქციოს: გაუმართოს ეგრედ წოდებული შობის ხე, წუთიერი სიამოვნება მაინც აგემოს, და ცოტა რამ ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს საცმელ-სახურით. რასაკვირველია, ამ ფრიად კეთილ და თანასაგრძნო საქმისათვის, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს 500—1000 ბავშვს, თვით პატარა წრეს არა აქვს შეძლება, და ამისათვის ძალაუნებურად იძულებულია მიჰმართოს მთელს საზოგადოებას იმ იმედით, რომ იგი გულკეთილობას გამოიჩენს, სიამოვნებით დაეხმარება მასწავლებელ

ქალთა საზოგადოებას ამ საქმის მოგვარებაში. შემწეობა შეიძლება ფულითაც და სხვა და სხვა სატანისამოსოთაც, თუნდა ეს სტანისამოსი ნახმარიც იყვეს. ყოველ გვარი შემოწირულება მიიღება დიდის მადლობით, ბარიატინის ქუჩაზე, № 6, სადაც მოთავსებულია „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“ დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს.

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოება.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**სოფია.** ბალგარეთ ბულგარეთა დასახმარებლად იშტიბს ექიმთა რაზმი წავიდა. კონსტიტუციის შეცვლის განზრახვის მიხედვით დეპუტატებს დაურიგეს კანონ-პროექტი, რათა მეფის შესანახად გადადებულ ფულის რაოდენობა გაადიდონ 700,000 მ. და დედოფლის სახარჯოდ 17 ათასი მანეთი გადასდონ.

**პარიზი.** დააპატიმრეს ნაცვლადი რუსი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მოისეევი, 30 წლისა, ორიოლის გუბერნიის მცხოვრები. მოისეევს დიდი ხანია ეძებდნენ, რადგან პოლტავის ბანკიდან მოტყუებით 200 ათასი მანეთი გამოიტანა. მოისეევი ირწმუნება, ფული საპოლიტიკო მიზნისთვის დავხარჯეო. ამბობენ, ქალაქდში წაიგოო.

**ვენა.** ავსტრიისა და უნგრეთის დელეგატთა სხდომა დაიწყო. მათ უნდა განიხილონ დროებით ხარჯთაღრიცხვის საკითხი.

ავსტრია-უნგრეთის ბელგრადელ მოსიას დაავალეს, იმპერატორის სახელით მეფე პეტრეს მწუხარება გამოუცხადოს წმ. მარკოზის საყდარზე მომხდარ საზიზღარ ამბის გამო.

აქ ჩამოვიდა ბოსნიის სეიმის დეპუტაცია. დეპუტაციამ მთავრობას უნდა სთხოვოს მეტი უფლებათა მინიჭება და ჯარში ახალ გაწვეულთა რიცხვის განსაზღვრის უფლება.

## რ უ ს ე თ ი.

**როსტოვი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და სახალხო განათლების მინისტრთან ქალაქის მართველობისა, ვაჭრების და საბირჟო საზოგადოებათა წარმომადგენელთა დეპუტაცია მიემგზავრება როსტოვში მედიკურ ფაკულტეტის დაარსების საშუამდგომლოდ.

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებითი კომისია შეუდგა სამინისტროს მიერ ერობათა და ქალაქების საშუალებათა გასათვალისწინებლად შემუშავებულ მოსაზრებათა განხილვას.

მინისტრთა საბჭომ მოისმინა იუსტიციის სამინისტროს დასკვნა სათათბიროს წევრის გოლოლობოვის დეპუტატ კუზნეცოვზე საჩივრის შესახებ და დაადგინა, საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცეს და სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტში იქმნეს წარდგენილი.

მინისტრთა საბჭომ განიხილა ფინლანდიის შესახებ კანონ-პროექტთა მთელი რიგი; მათ შორის საუწყებათაშორისო კომისიის კარევის თავმჯდომარეობით დაარსებისა. ამ კომისიამ პროექტი უნდა შეადგინოს 1910 წლის 17 ივნისის კანონის ადგილობრივ პირობებთან შესაფარდებლად.

# თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, კვირას, 18 დეკემბერს, „სახალხო უნივერსიტეტი“ ჰმართავს ორ ლექციას. 1) გ. ს. დიუბასოვიჩი წაიკითხავს ვარსკვლავთ-მრიცხველობაზე, ბუნდოვან სურათების ჩვენებით. 2) ტ. კ. მარქარიანი — „პიროვნების შესწავლა და დაფასება“. დასაწყისი დილის $10^{1}/_{2}$ საათზე.

**ალ. კარგარეთლის ბენეფისი.** კვირას, 18 დეკემბერს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. კარგარეთლის საბენეფისოდ ცნობილი პიესა იმპერატორ ნაპოლეონის ცხოვრებიდან „მადამ სანჟენ“, რომელიც კარგა ხანია ქართულ სცენაზე არ წარმოუდგენიათ. მთავარ როლებს შეასრულებენ მადამ სანჟენს—თვითონ მობენეფისე, ნაპოლეონს—კი მესხი, მარშალ ლეფევრს—ვ. გუნია და სხვანი. პიესისათვის ხელ ახლად შეკერილია ახალი ტანისამოსები. იმედია საზოგადოება შესაფერის გულხმიერებით მოეკიდება ამ საინტერესო წარმოდგენას, მით უფრო, რომ „მადამ სანჟენი“ ჩვენს სცენაზე ყოველთვის იშვიათის ანსამბლით—მწყობრობით მიდიოდა.

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, ქართულ თეატრში დასდგეს ჯერომ-ჯერომის: „ქალის ჭკუა“. ამ სეზონში „ქალის ჭკუა“ ეს მეორედ წარმოადგინეს და ორივეჯერ მშვენივრად ჩაიარა: საზოგადოდ ჩვენს მსახიობთ კომედიის თამაშობა ძალიან ეხერხებათ და ამ ღამეს ხომ ყველა თავის ადგილას იყოს. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ბ-ნი გუნია და შათირიშვილი; კარგნი იყვნენ ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისა და პიერეტა (საგინაშვილისა). არა უშავდა რა ვიქტორელსა და მგალობლიშვილს. ამ უკანასკნელს ერთი ნაკლი აქვს: რა ხასიათის როლსაც უნდა ასრულებდეს, სალახანას თუ გრაფსა, ქუჩის ბიჭისა თუ სოფლის გლეხისა, ერთი და იგივე მიხვრა-მოხვრა აქვს, ერთი და იგივე ინტონაცია ხმისა და მანერა ლაპარაკისა. ამიტომ ყოველთვის ნაცნობს და ძველს ადამიანს ვხედავთ და ეს, ცოტა არ იყოს, ილუზიის შექმნას ხელს უშლის ხოლმე.

ხალხი საკმაო იყო.

**ავჭალის სახალხო აუდიტორია.** შაბათს, 17 დეკემბერს, 1911 წ. სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ **კ. ყიფიანის** და **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება სუნდუკიანცის 3 მოქმ. კომედია „პეპო“. რეჟისორობს კ. ყიფიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ფოთი.** ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოებამ 10 დეკემბერს საკრებულო დარბაზში გამართა წარმოდგენა, წარმოადგინეს „პარიზის ლატაკნი“.

მონაწილეობას იღებდნენ; ქ-ნნი ა. თოხაძე, ნ. ნორაკიძე, ქ. ჩკაიძე, თ. ჯიჯიეშვილი და ბ. გვაზავა; ბ-ბი ს. ხარაზიშვილი, ა. ელენტი, მაკაცარიშვილი, მ. ხორიაშვილი, ე. კოპეიშვილი, პაიჭაძე, ი. ტ-შვილი და სხ. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მომქმედმა პირმა სინდისიერად შეასრულა თავიანთი როლი. ჩვენ არც კი მოველოდით სცენის მოყვარეთაგან ამ პიესის ასე კარგად ჩატარებას, მაგრამ მეცადინეობას ყველაფერი შეუძლიან და ჩანს კიდეც, რომ შრომა და ენერგია არ დაუზარებიათ. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ბ. ხარაზიშვილი, რომლის რეჟისორობითაც გაიმართა ეს წარმოდგენა და რომელიც სასცენო საქმეს ყოველთვის ხალისიანად ეკიდება. ამ წარმოდგენამ დაგვანახვა, რომ აქ საკმაოდ მოიპოებიან ძალები და თუ კვლავ მუყაითად მოეკიდებიან საქმეს, სცენაც გაუმჯობესდება. ეს დრამატიულ საზოგადოების ახალი გამგეობის პირველი ნაბიჯია, ვუსურვებთ, რომ მომავალშიაც განაგრძონ ასეთი მოღვაწეობა.

საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. **ჭრიჭანა.**


# განცხადებანი

## № 4711
## სქელი პუდრი

ჰანს ჩაგერდიხავით ანაზებს და ალამაზებს

ფერდ. მიულგენსი პარფიუმერია № 4711, კოლონში მისი იმპერატ. უდიდ. ხახაზლ. იჯარადარი. 26 კ.




Метцль 352138 352158

9—1538—2

სამშობიარო
თავშესაფარი
# თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, N 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ.

იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის, ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი დღე-ღამეში 1 მ. და მომშობიარებისათვის—6 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბეჭიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 სათ.-დე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. (ო.1646 1)

მუხრანის ხიდთან
# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ითხელაანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

მ. ლ. შტრიახერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაყვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ძიძ-ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. მიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბეჭიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—194

ვ ი ლ ე გ
# სამკურნალო სამზარეულო

ხაქმევენ ს. მსურველთ შეუძლიანთ მომართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზ. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.

(23—958—18)

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხეილის ქ. N ...

# დოქტ. ნაგასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ფ. მ. ჩაქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღდანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პეტროსოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან· და სხბავშვთ.

ბ. გ. აგაბაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაგახარდიანი. (წ. (1168—205)

გამოცდილმა
# მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—პოსწავლე ქალვაჟებთან. — მიღებულია პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს. ტექნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატექნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანს უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში**.

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижнiй звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(ო. 1084.49

ა გ ე ნ ტ ი
# მ. ა. გაჩეჩილაძე

ღებულობს განცხადებებს როგორ, ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების მიმღებ აგენტებად ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიიღება ყოველ დღე დილის 9—9 ს და საღამოს 4—$5^{1}/_{2}$ საათამდე.




(40—1465—39)

# სკოლა და ცხოვრება
## (ШКОЛА И ЖИЗНЬ).

(ყოველკვირეული).

მხოლოდ ერთ ყოველ კვირ. საზ. და საპედაგ. გაზეთზე, თვიურ დამატებებით

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.**

დამატებანი, არა-ნაკლებ 80 დაბეჭდილ ფურცლისა, გაარკვევენ მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოყენებულ სწავლა-აღზრდის საკითხებს, დამატებათა შორის იქნება:

„ემილი მე-XVIII საუკუნისა“, რუსოსი. „საბავშვო საკითხავის პრობლემანი“, გოლდენსტეინისა. „ხალხის განვითარება და პიროვნების განვითარება“, ნატორპისა.

ეს თხზულებანი აუცილებელია ყოველ პედაგოგისთვის და განათლებულ ოჯახისთვის.

გაზეთი გამოდის შემდეგის პროგრამით: 1) წერილები: სკოლის ორგანიზაცია და სასკოლო კანონმდებლობა, პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა, 2) წერილები სწავლა აღზრდის სხვა და სხვა საკითხებზე, 3, ფელეტონები, სკოლების შინაურ ცხოვრებისა და სხვა და სხვა მეცნიერების პოპულარიზაცია, 4) პრესის მიმოხილვა, 5) განათლების ამბები, საკანონმდებლო დაწესებულებათა და მთავრობის და სხვათა მოღვაწეობა, 6) რუსეთისა და საზღვარგარეთის სკოლათა ამბები, 7) სპეციალურ ლიტერატურისა და საზღვარგარეთის მიმოხილვა, 8) გამოსადეგი ცნობანი, 9) განცხადებანი.

გაზეთის რედაქცია მეცადინეობს რაც შეიძლება საგნებით გაარკვიოს სწავლა-აღზრდის საკითხები რუსეთში თუ საზღვარგარეთ და ამისათვის თანამშრომლებად მოიწვია უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები, საშუალო სასწავლებელთა და დაბალ, სკოლათა მასწავლებელნი, ერობისა და ქალაქთა მოღვაწენი, სახ. სათათბიროსა და სახ. საბჭოს წევრნი და სხვანი.

გაზეთში, სხვათა შორის, მონაწილეობენ: პროფ. მ. მ. ალექსეენკო, ს. დ. ალჩევსკისა, აკად. ვ. მ. ბეხტერევი, პროფ. ი. ი. ბორგმანი, ი. პ. ბელოკონსკი, პროფ. ე. ა. ვაგნერი, ვ. ა. ვახტეროვი, აკად. ვ. ი. ვერნადსკი, ვ. ა. გერდი, პროფ. ნ. ა. გრედესკული, პროფ. დ. დ. გრიმი, პროფ. ვ. ი. დანილევსკი, ი. ი. დუშეჩკინი, ე. ა. ზვიაგინცევი, პროფ. პ. ფ. კაპტერევი, პროფ. მ. ი. კაუფმანი, პროფ. ნ. ი. კარეევი, პროფ. ა. ა. კიზევეტერი, პროფ. მ. მ. კოვალევსკი, აკად. ა. ფ. კონი, პროფ. ნ. ნ. ლანგე, ა. ლ. ლიპოვსკი, ნ. დ. ლუბენეცი, პროფ. ი. ვ. ლუჩიცკი, პროფ. ა. ა. მანუილოვი, პ. ნ. მილიუკოვი, ნ. ფ. მიხაილოვი, პროფ. ა. პ. ნეჩაევი, აკად. დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი, ფ. ფ. ოლდენბურგი, ან. ოსტროგორსკი, ა. ბ. პეტრიშჩევი, ი. ი. პეტრუნკევიჩი, ა. ს. პრუგავინი, ვ. ი. როზანოვი, ნ. ა. რუბაკინი, მ. ა. სტახოვიჩი, ი. ვ. ტიტოვი, დ. ი. ტიხომიროვი, გრაფ. ი. ი. ტოლსტოი, ნ. ვ. ტულუპოვი, პროფ. ვ. ვ. ხლოპინი, ვ. ი. ჩარნოლუსკი, პროფ. გ. ი. ჩელპანოვი, ნ. ვ. ჩეხოვი, პ. მ. შესტაკოვი, ა. ი. შინგარევი, აკად. ი. ი. იანჟული და სხვანი.

საზღვარ-გარეთელ მეცნიერთაგან, სხვათა შორის, თანამშრომლობა აღუთქვეს: პროფ. რენე გორხმა, შარლ ჟიდმა, საფრანგეთის ცნობილმა პედაგოგმა ბიუსონმა, დე გრეფმა, ტოპახენმა და სხვათა.

რედაქციას საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს იმპერიის ყოველ ქალაქებში, სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში.

**ვ. ა. ფალბორკის რედაქციით.**

| გაზეთის ფასი: | წლით: | 6 თვე: | 3 თვე: |
|---|---|---|---|
| სახლში მიტანით და გაგზავნით რუსეთში | 6 მ. | 3 მ. | 2 მ. |

პირველ-დაწყებით სკოლათა მასწავლებელთ ნაწილ-ნაწილად შეუძლიანთ გადაიხადონ: დაკვეთის დროს 2 მ. 1 თებერვალს, 1 მარტს, 1 აპრილს და 1 მაისს თითო მანეთი.

**ხელ-მოწერა მიიღება:** მთავარ კანტორაში, Петербургская, N 18, ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში და თვალსაჩინო წიგნის მაღაზიებში.

**განცხადებანი** მიიღება მთავარ კანტორაში შემდეგის ფასით: სტრიქონი ნონპარელისა, ტექსტის წინ—60 კ., ტექსტის შემდეგ—30 კაპ.

(3 144 2) გამომცემელნი: ნ. ვ. მეშკოვი და ვ. ა. ფალბორკი.

# ხელსაქმის
## ქ. რიგის მაღაზია

M-me მინასი.

ტფილისი, განოვის ქ., № 6.

მიღებულია

**საუცხოვო ახალი რამ.** (10.1618.3)

# გამოვიდა და იყიდება
## თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“. | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“. | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. | ფ. 85 კ. |
| Вато u-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ | ფ. 1 მ. 20 კ. |
| მ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს. კ. გ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში. და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

# სნეულთა
## ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც სპერმინ-პელა დღითი-დღე უფრო ბევრი სადდება, ამის გამო გახაყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი სპერმინ-პელის მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მივაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ წამლებიდან. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ „სპერმინ-პელას“ გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას „სპერმინ-პელა“, ვინაიდან ყველა სხვა წამლები, უძეირო წამაძულებაა „სპერმინ-პელასი“.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, „სპერმინ-პელ“-ის დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

органотерапевтическiй институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

# საყურადღებოდ

Метцль и К-о. № 95425). (12—1481—10)


სტამბა „შრომაბანი“ მადათოვის კუნძული

რედაქტორ-გამომცემელი. კ. ჩარკვიანი?